



၉၈၈၅၅

მედიკალური პარკები



ნოემბერი




ქალაქი

ლევანის და

მედიუმი

1949



ნაგვის
ქანა

ქობულაძე

მარტოვილი
საბა

მომუშაობს
მომუშაობს
მომუშაობს

მომუშაობს



პლედზე იჯდა და ზურგით ხეს ეყრდნობოდა

პ. ლ. ცხივერიძე

მედიკალინური
პრობლემა



პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი პარკში

P. L. Travers
MARY POPPINS IN THE PARK

ინგლისურიდან თარგმნა ია კოროშინაძემ
ლექსები თარგმნა დავით ახალაძემ

ილუსტრატორი მერი შეპარდი

© 1952 by P. L. Travers
© renewed 1980 by P. L. Travers
All rights reserved.

ნიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-694-0

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

ვუძღვნი კამილას, პროკას და პომპეის

სარჩევი

I ყველა ბატს თავი გედი ჰგონია	15
II ერთგული მეგობრები	60
III ბედნიერი ხუთშაბათი	110
IV ბავშვები ზღაპრის გმირები ხდებიან	158
V პარკი პარკში	214
VI ჰელოუინი	268

ამ წიგნში მოთხრობილი ამბები მაშინ მოხდა, როცა მერი პოპინსი ბენქსების ოჯახში იყო. ის ხომ მათ სამჯერ ესტუმრა. იმ მკითხველის გასაგონად ვამბობ, ვინც ფიქრობს, რომ ახლა მერი პოპინსის მეოთხე სტუმრობის ამბავს ნაიკითხავს. განა რამდენჯერ ჩამოვიდოდა და გაემგზავრებოდა? ესეც რომ არ იყოს, გაიხსენეთ, რომ სამი ილბლიანი რიცხვია.

მკითხველები, რომლებიც უკვე იცნობენ მერი პოპინსს, ამ წიგნში ბევრ ახალ გმირს შეხვდებიან. მათ კი, ვისაც პერსონაჟების უფრო ახლოს გაცნობა მოუხდებათ, შეუძლიათ ისინი წინა წიგნებში მოძებნონ.

პ. ლ. ტ.

ყველა ბატს თავი ბედი ჰგონია

გაფხულის ცხელი და მშვიდი დღე იდგა. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ალუბლის ხეები გრძნობდნენ, როგორ მნიფდებოდა მათი ნაყოფი. მწვანე ბურთულები ჯერ ყვითლად შეიფერა, მერე კი ისე განითლდა, იფიქრებდით, სირცხვილისგან აღმური მოსდებიაო.

ღამენათევი სახლები მტვრიან ბალებში თვლემდნენ – დარაბებით თვალებს ირდილავდნენ და ამბობდნენ, ნუ გვანუხებთ, ნაშუადღევს ვისვენებთო.

ფრთის ქვეშ თავამოდებული შოშიები ზაფხულის ხვაცს საკვამურებში ემალებოდნენ.

პარკის თავზე სქელი, ოქროსფერი სიროფივით დაღვრილი მზის შუქი ერთ დიდ ღრუბლად განოლილიყო.

ფოთოლი რომ ფოთოლია, ისიც კი არსად ირხეოდა. ყვავილებსაც სული გაენაბათ და მზის სხივებზე ისე

ბრჭყვიალებდნენ, დაეჭვდებოდით, ლითონისაგან ხომ არ გამოუჭედავთო.

პარკში, ტბის სიახლოვეს, ყველა სკამი ცარიელი იყო. ეტყობა, ვისაც აქ ჯდომა უყვარდა, მზის მცხუნვარებას გაექცნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. პატარა ბიჭუნას, ნელეუსის მარმარილოს ქანდაკება დაგუბებულ წყალს ზემოდან გადმოჰყურებდა. ოქროს თევზებიც არსად ჩანდნენ – სწორედ ისინი, ალისფერი კუდებით რომ ინონებდნენ თავს. დუმფარის დიდრონი ფოთლები ქოლგებივით დაეფარებინათ და სიცხეს დამალვოდნენ.

პარკის გაზონები მზის გულზე გაფენილ ხასხასა მწვანე ხალიჩებს მოგაგონებდათ. იქაურობა ისე გარინდებულ იყო, იფიქრებდით, მთელი პარკი მხოლოდ ნახატია და სხვა არაფერია. მაგრამ არა, ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას ვილაცის რიტმიული მოძრაობა არღვევდა – პარკის დარაჯი ვეებერთელა მაგნოლიის ძირას წინ და უკან დადიოდა, ნაგავს აგროვებდა და სანაგვე ურნაში ყრიდა.

მოულოდნელად გვერდით ორმა ძაღლმა ჩაურბინა. დარაჯმა საქმეს თავი დაანება და მათ თვალი გააყოლა. იოლად მიხვდებოდით, რომ ძაღლები ალუბლების ქუჩიდან უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ერთ-ერთი სახლიდან მის ლარკის კივილი გაისმა:

– ენდრიუ! ვილაბი! დაბრუნდით, გთხოვთ! ოღონდ მაგ ბინძურ ტბაში ნუ იბანავებთ და ცივ ჩაის მოგიმზადებთ!

ენდრიუმ და ვილაბიმ წუთით ერთმანეთს გადახედეს, თვალთ რალაც ანიშნეს და სირბილი განაგრძეს. დიდ მაგნოლიას რომ გაუსწორდნენ, უცებ შეჩერდნენ და პირდაპირ ბალახზე გაგორდნენ. სულს ძლივს ითქვამდნენ, გრძელი ვარდისფერი ენები გადმოეგდოთ და ქოშინებდნენ.

მერი პოპინსი მაგნოლიის ქვეშ, გაზონზე დაფენილ კუბოკრულ პლედზე იჯდა და ზურგით ხეს ეყრდნობოდა. ცისფერი ქვედატანი ეცვა, თავზე კი მუქი წითელი ტიტით დამშვენებული ახალი ქუდი ეხურა. ხელჩანთაც გვერდით ედო. მეტად პენიანად გამოიყურებოდა. ზემოთ, ყვავილებით გადაპენტილ ტოტზე ქოლგა ქანაობდა, რომლის ტარსაც თუთიყუშის თავი ამშვენებდა. მერი პოპინსი რალაცას ქსოვდა. ძაღლები რომ შენიშნა, ქსოვა შეწყვიტა, ორ დიდრონ კუდს გადახედა და ჩაიფრუტუნა.

– ენა შეყავით და სწორად დასხედით! მგლები ხომ არა ხართ!

ძაღლებმა ყურები ცქვიტეს. ჯეინი გაზონზე იწვა და კარგად ხედავდა, როგორ გულმოდგინედ ცდილობდა ორივე, ენა ისევე ლოყებს შორის მოექცია.

– და კიდევ ერთი, – განაგრძო მერი პოპინსმა, – თუ ბანაობას აპირებთ, ტბიდან რომ ამოხვალთ, წყლის ნვეთები კარგად დაიფერთხეთ! ჩვენ ნუ გაგვწუნავთ!

ენდრიუმ და ვილაბიმ შენიშვნა ითაკილეს და ისე შეხედეს, თითქოს ეუბნებოდნენ, მერი პოპინს, გგონიათ, ამას ვერ მივხვდებოდითო?

– კარგი, კარგი... აბა, მოუსვით აქედან!

ძაღვები ადგილს მოსწყდნენ და წინ გაიჭრნენ.

– დაბრუნდით! – გაჰკიოდა შემფოთებული მის ლარკი, მაგრამ ყურადღებას არავენ აქცევდა.

მაიკლი ბალახზე პირქვე განოლილიყო და ჭიანჭველე-ბის ბუდეს უთვალთვალებდა.

– რატომ არ შეიძლება, რომ ტბაში ვიბანაო? – გაუბე-დავად იკითხა მან.

– ძაღლი არა ხარ და იმიტომ! – შეახსენა მერი პოპინსმა.

– ვიცი, მაგრამ რომ ვყოფილიყავი... – მაიკლი წუთით შეყოვნდა. აინტერესებდა, ნეტავ ქალს თუ ელიმებო, მაგრამ აბა, როგორ დაინახავდა?! პირქვე იწვა და ცხვირი მიწაზე მიეჭყლიტა.

– კეთილი, ძაღლი რომ ყოფილიყავი, რას გააკეთებდი?

– ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა.

ბიჭს ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, ყველაფერს გავაკე-თებდი, რასაც კი მოვისურვებდიო; როცა მომინდებოდა, ვიცურავებდი, ყოველ შემთხვევაში, ნებართვას არავის ვთხოვდიო. მაგრამ იქნებ მერი პოპინსი სულაც არ ილი-მებოდა? მაიკლი მიხვდა: გაჩუმება სჯობდა!

– არაფერსაც არ გავაკეთებდი! ახლა კი მეტისმეტად ცხელა და ვერ ვიკამათებ, – ჩაილულლულა მან.

– არაფერი არაფერს მოგიტანს! – განუცხადა მერი პო-პინსმა, ტიტით დამშვენებულ ქუდში თავი შეარხია და გა-ნაგრძო: – და კიდევ, მე კი არ ვკამათობ, ვსაუბრობ!

ეტყობოდა, მეტს აღარაფერს იტყოდა. ბოლო სიტყვა ხომ მუდამ მას უნდა ეთქვა!

მზის სხივებმა მაგნოლიის დიდრონი ფოთლების ქვეშ საქსოვ ჩხირებს მიაგნეს და უმაღლვე ააბრდღვიალეს.

ჯონსა და ბარბარას თავები ერთმანეთისთვის მიედოთ – ძილ-ღვიძილში იყვნენ: დროდადრო თვლემდნენ და მერე ისევ ფხიზლდებოდნენ. ანაბელს კი მერი პოპინსის ჩრდილში ღრმად ჩასძინებოდა.

უცებ შუქ-ჩრდილები აირია, მაგნოლიის ქვეშ ყველა შავ-თეთრად აჭრელდა და გაზეთის ნაგლეჯის ასაღებად დახრილ პარკის დარაჯსაც სახე დაულაქავდა.

– ნაგავი სანაგვე ურნაში უნდა ჩაყაროთ! წესები დაიცავით! – მკაცრად თქვა მან.

მერი პოპინსმა ის პირქუშად აათვალიერ-ჩაათვალიერა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, მუხას გაახმობდა.

– ეგ ნაგავი მე არ დამიყრია, – შეეკამათა პარკის დარაჯს.

– ოჰ, მართლა?! – უნდობლად ჰკითხა მან.

– არა-მეთქი! – გაუმეორა მერი პოპინსმა და პასუხს გვარიანი ფრუტუნიც მოაყოლა.

– კეთილი, მაგრამ ვილაცამ ხომ დაყარა?! აბა, აქ საიდან გაჩნდებოდა?! ვარდივით, მიწიდან ხომ ვერ ამოვიდოდა?!

კაცმა ქუდი გადაიწია და ყურების უკან ოფლი შეიმშრალა. პაპანაქებამ თუ მერი პოპინსის უხეშმა პასუხმა აშკარად გუნება გაუფუჭა.

– ძალიან კი ცხელა! – აღნიშნა და ქალი ნერვიულად შეათვალიერა. ისეთი მზერა ჰქონდა, მარტოხელა მშვიდმწყურვალ ძალს მოგაგონებდათ.

– შუა ზაფხულში სხვას რას უნდა ველოდეთ! – გაიწკარუნეს ნინდის საქსოვმა ჩხირებმა.

დარაჯმა ამოიოხრა და საუბრის გაბმა კიდევ ერთხელ სცადა.

– ვხედავ, თუთიყუშიც მოგიყვანიათ! – თქვა და მალა, ფოთლებში, შავი აბრეშუმის სილუეტს ახედა.

– როგორც ჩანს, ჩემს ქოლგას გულისხმობთ, ტარზე რომ თუთიყუშის თავი აქვს, – შენიშნა მერი პოპინსმა.

შეფიქრიანებულმა დარაჯმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

– თქვენ რა, გგონიათ, განვიმდება? ასეთ მზიან დღეს?

– კი არ გგონია, დარწმუნებული ვარ, – მშვიდად მიუგო ქალმა, – მეტსაც გეტყვით, მე რომ პარკის დარაჯი ვყოფილიყავი, ზოგიერთებივით ნახევარ დღეს კი არ გავფლანგავდი! აი იქ, ფორთოხლის ქერქი რომ გდია, რატომ არ იღებთ?

მერი პოპინსმა საქსოვი ჩხირი ფორთოხლის ქერქისკენ გაიშვირა და მანამდე დარჩა მკაცრი ბრალმდებლივით ასე ჩხირგანვდილი, ვიდრე პარკის დარაჯმა მისი ღირსების შემლახავი ნაგავი ურნაში არ მოისროლა.

– შენ რომ დარაჯი იყო, აქ პარკის ნაცვლად სუფთა უდაბნო იქნებოდა! – თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა, ქუდი